აჭარის წყლის
ალიანსი

№ 248
11/X/2021 წ.

www.awa.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

**საგანი: გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის ანგარიში**

**ბატონო ლევან**

„აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის" ფარგლებში სს „აჭარის წყლის ალიანსს" შემოაქვს სკრინინგის ანგარიში კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის **დაბა ოჩხამურის** არეალისთვის.

პროგრამა ხორციელდება საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში ევროკავშირისგან დამატებითი ფინანსირებით. პროგრამა ხორციელდება სს „აჭარის წყლის ალიანსის" მიერ. პროგრამის მიზანია გააუმჯობესოს წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების შეგროვება, გაწმენდა აჭარის დაბებსა და სოფლებში, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს და გარემოსდაცვას.

სკრინინგის ანგარიში მომზადდა საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლთან შესაბამისობაში (კანონის ნომერი 890/2017) და ის იძლევა მოკლე ინფორმაციას მახასიათებლების, განხორციელების ადგილის და დაგეგმილი აქტივობების პოტენციური გავლენების შესახებ. დოკუმენტი მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს სკრინინგის გადაწყვეტილებას მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურების მიხედვით, როდესაც დაგეგმილი აქტივობებზე ვრცელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება. გთხოვთ, იხილოთ ამ განაცხადზე დართული პროექტის მოკლე აღწერა.

გთხოვთ, საქართვლოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიიღოს სკრინინგის გადაწყვეტილება მე-7 მუხლში განსაზღვრული სკრინინგის პროცედურების შესაბამისად, ექვემდებარება/საჭიროებს თუ არა დაგეგმილი საქმიანობები გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ველოდებით თქვენს გადაწყვეტილებას და ვრჩებით თქვენს განკარგულებაში საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი განმარტებისთვის.

თანდართული დოკუმენტი:

- აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის ჩამდინარე წყლების **#3** გამწმენდი ნაგებობისა და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის და ექსპლოატაციის პროექტის გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიში - **72** (სამოცდათორმეტი) ფურცელი;

**პატივისცემით,**

**თეიმურაზ ბედინაძე**
**დირექტორი**

საქართველო, აჭარა, ბათუმი, 6010, კ.გამსახურდიას ქუჩა #1, ოფისი #4-7, ტელ: (0422) 278686, info@awa.ge www.awa.ge

k.Gamsakhurdia St #1, Office #4-7, 6010, Batumi, Ajara, Georgia Tel (0422) 278686, info@awa.ge www.awa.ge